საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 207 (10293) | ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მოსწავლეთა დღესასწაული (1-ლი გვერდი).
როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (1-ლი გვერდი).
ი. ხაბალაშვილი. — სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა — მაღალ დონეზე (მე-2 გვერდი).
ს. ქოჩლაძე. — ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს ცუდად ეხმარებიან (მე-2 გვერდი).
ა. გუნია. — საქართველოს თეატრები ახალი ამოცანების წინაშე (მე-2 გვერდი).
აღვუზარდოთ სამშობლოს ყოველმხრივ განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდობა. — შ. ირემაძე. — სახელმწიფო უნივერსიტეტში. გ. [illegible]. — მშენებელთა საჩუქარი მოსწავლეებს. [illegible]. — სკოლისა და საწარმოს თანამეგობრობა. [illegible]ლაძე. — მნიშვნელოვანი ეტაპი სწავლის ცხოვრებაში. (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახალი წარმატებებისათვის სწავლასა და აღზრდაში

დღეს ჩვენი დიადი ქვეყნის მილიონობით ბავშვი და ახალგაზრდა ხალისით, გაორკეცებული ენერგიით შეუდგება სწავლას სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე ახალი პასუხსაგები ამოცანები დგას. პოლიტექნიკური სწავლების შემოღების შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივის განსახორციელებლად საბჭოთა სკოლა მოწოდებულია მოამზადოს ახალგაზრდები არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ უშუალოდ ჩაბმისათვის.

ეს ახალი ამოცანები დიდ მუშაობას მოითხოვს როგორც სახალხო განათლების ორგანოების, ისე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ. მათი წარმატებით გადაჭრის პირობას ქმნის ახალი სასწავლო გეგმა, რითაც ჩვენი სკოლა მუშაობას იწყებს 1955-56 სასწავლო წელს.

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ გაიმართა მასწავლებელთა ტრადიციული თათბირები. ამ თათბირებზე ჩვენმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ ანალიზი გაუკეთა გასული სასწავლო წლის შედეგებს, განაზოგადა მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სწავლა-აღზრდის საქმის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, მთელი სასკოლო მუშაობის ახალი ამოცანების დონეზე აყვანისათვის.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებებთან ერთად თათბირებზე აღინიშნა ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

ახალ სასწავლო გეგმასა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებთან ერთად თათბირების ყურადღების ცენტრში კვლავ იდგა საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების საკითხი. გასულ წელს გორის რაიონის მასწავლებელთა აგვისტოს თათბირზე გამოვლინებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში, კერძოდ სკოლებიდან მოსწავლეთა თვითნებურად წასვლის შემთხვევები. ეს ნაკლოვანებანი მოკამათეებმა წელსაც აღნიშნეს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ზერტის, ნიქოზის რვაწლიანი და სხვა სოფლების სკოლები. თელავის რაიონის ყარაჯალის რვაწლიანი, რუისპირის საშუალო, გულგულის რვაწლიანი და სხვა სკოლებიდან განთესილი იყო მოსწავლეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების დარგში მსგავსი ნაკლოვანებანი გამოვლინებულ იქნა მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში მოწყობილ თათბირებზეც. მოკამათენი სამართლიანად აკრიტიკებდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, რომელიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ადგილებზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას. თათბირების მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში გასულ სასწავლო წელს დიდი ყურადღება მიექცა პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას. სკოლებს ამ საქმეში დახმარებას უწევენ შეფი ორგანიზაციები. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის მთელ რიგ საწარმოთა მუშაობა. ქუთაისის საწარმოებმა თავიანთ საშეფო სკოლებს გადასცეს შიდაწვის ძრავები, ელექტროძრავები, მანქანათა დეტალები, ჩარხები, ინსტრუმენტები და სხვა მოწყობილობა. მაუდის ფაბრიკამ მეორე საშუალო სკოლას სახელოსნოსათვის გადასცა ელექტროძრავა და ხის დასამუშავებელი ჩარხი. სკოლებს ასევე კარგად ეხმარებიან მანქანათმშენებელი, საკონსერვო ქარხნების, რიონჰესის და სხვა საწარმოთა კოლექტივები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კასპის მტს-ის დახმარება კასპის რუსული საშუალო სკოლისადმი. მტს-მა ამ სკოლას მოუწყო შესანიშნავი სასწავლო სახელოსნო. კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება.

სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით უნარიანად უნდა გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, ყველაფერი გააკეთონ პოლიტექნიკური სწავლების დასანერგავად და მოამზადონ საჭირო პირობები მომავალი ხუთწლედიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად.

ახალ აღმავლობას განიცდის ჩვენი უმაღლესი სკოლა, რომელიც მოწოდებულია გააუმჯობესოს ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში, მაგალითად, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა ახალი ფაკულტეტი და შემოღებულია ახალი სპეციალობანი, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. ვითარდება დაუსწრებელი უმაღლესი სწავლება.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, მოწოდებული არიან მოამზადონ ისეთი სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე, დაუფლებული არიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, უნარი შესწევთ იხელმძღვანელონ ამ თეორიით მთელ თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ამიტომ საჭიროა ავამაღლოთ უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების დონე, მჭიდროდ დავუკავშიროთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. საჭიროა გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისადმი. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დაეხმარონ პედაგოგებს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებსა და მასწავლებლებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში.

სწავლის დაწყების პირველ დღეს ბავშვები და ახალგაზრდები ზეიმით ხვდებიან, როგორც თავიანთ დიდ დღესასწაულს. ჩვენი სამშობლოს მოწინავე ქალაქებსა და ოლქებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში იმართება სწავლის დაწყებისადმი მიძღვნილი მხატვრული დილა-საღამოები, სიმღერები და ცეკვები, ფიზკულტურული თამაშობანი და მასობრივი სეირნობა.

ეჭვი არ არის, რომ ეს წელი ახალ წარმატებებს მოგვიტანს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა მასწავლებლობა პარტიის XX ყრილობას შეხვდება მნიშვნელოვანი მიღწევებით ჩვენი ბავშვების, ჩვენი ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. მ. ოზოლინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. მ. ოზოლინის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. კარლ მარტინის-ძე ოზოლინი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1955 წ. 30 აგვისტო.

სურათზე: ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი თბილისის მოსწავლეთა საღამო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. ტრიბუნაზეა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.
ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

მოსწავლეთა დღესასწაული

პარკის საუკუნეობრივი ხეები, რომელთაც ოდნავ შეხებია მოახლოვებული შემოდგომის სიყვითლე, გაფერადებულია სადღესასწაულო ილუმინაციის ნაირფერებით. ათასფერი შუქით გაჩირაღდნებულა მტკვრის პირას მდებარე უძველესი პარკი — ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. გუშინ იგი თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განკარგულებაში იყო. აქ გაიმართა ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა საქალაქო დღესასწაული.

ათასობით ბავშვი მოვიდა თავის დღესასწაულზე. ბევრი მათგანისათვის მოახლოვებული სასწავლო წელი სკოლაში სწავლის უკანასკნელი წელიწადი იქნება. ისინი უკვე ახლა ემზადებიან იმისათვის, რომ დაიწყონ დამოუკიდებელი ცხოვრება, გახდნენ კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები. კარგად გატარებული საზაფხულო არდადეგების შემდეგ ისინი აქ შეხვდნენ ერთმანეთს და უზიარებენ მომავლის გეგმებს. თვითეული მათგანისათვის დასახულია ფართო პერსპექტივები. მათ ელოდებიან ქარხნები, ფაბრიკები, ახალი მშენებლობები, კოლმეურნეობები, ინსტიტუტები.

გულთბილი, გულითადი საუბარია გამართული უზარმაზარი პარკის ყველა კუთხეში. სიხარულით ხვდებიან ერთმანეთს სკოლის ამხანაგები პიონერთა ბანაკების, ტურისტული ლაშქრობისა და საინტერესოდ და მიმზიდველად გატარებული ზაფხულის შემდეგ.

ბავშვებს, რომლებიც ზეიმით აღნიშნავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, სტუმრად ეწვივნენ პარტიული და კომკავშირული მუშაკები, პედაგოგები, სკოლების დირექტორები, თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი.

იწყება სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო საღამო.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, მ. ი. კუჭავა, დ. გ. მამაცაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ნ. ე. ჭაჭრაკია, ზ. ა. კვაჭაძე, მ. კ. მაღრაძე და სხვები. საღამოს ხსნის საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. სირაძე.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან.

— ძვირფასო მოსწავლენო, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მთავრობა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოსწავლეს სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ ყველას დიდ წარმატებებს სწავლაში.

შემდეგ ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვაზე ბავშვებისათვის, ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობისათვის, სკოლის დიდ და საპატიო როლზე კომუნიზმის კულტურული, განათლებული მშენებლების, პარტიის, ხალხის, ჩვენი დიდი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. იგი მოსწავლეებს მოუწოდებს ისწავლონ ბეჯითად, ღრმად შეისწავლონ დედა ენასთან ერთად რუსული ენა, მათემატიკა და ფიზიკა, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანი საგნებია ამჟამად.

— ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები, — ამბობს დასასრულს ამხ. მჟავანაძე, — მოითხოვენ, რომ მოსწავლეები ემზადებოდნენ არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის, არამედ შრომისთვისაც, პრაქტიკული მუშაობისთვისაც. ჩვენს ქვეყანაში საპატიოა ყოველგვარი შრომა — მეცნიერისა და კოლმეურნისა, მელითონე მუშისა და ექიმის, ტრაქტორისტისა და მასწავლებლის შრომა. საჭიროა გიყვარდეთ შრომა, პატივსცემდეთ შრომის ადამიანებს, პატრიოტულ მოვალეობად მიგაჩნდეთ მონაწილეობა ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომაში. საჭიროა გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი სკოლა, პატივსცემდეთ მასწავლებლებს, რომლებიც მთელ თავიანთ ძალას, ცოდნასა და ენერგიას ანდომებენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხ. მჟავანაძის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს დიდ საბჭოთა სამშობლოს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას.

საღამოზე გამოვიდნენ თბილისის სკოლების მოსწავლეები გივი შარაშიძე, ალა ყაზაროვა და ლევ სოლნცევი.

გამოხატავდნენ რა ყველა დამსწრეთა აზრს, მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ხალხის მამობრივ ზრუნვას ისინი უპასუხებენ ფრიადზე სწავლით, მტკიცე დისციპლინით, ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ იყვნენ დედა-სამშობლოს ღირსეული ვაჟები და ქალიშვილები.

საღამოს მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით უპასუხებენ ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვებს:

— ვიშრომებთ და ვისწავლით ისე, როგორც გვასწავლიდნენ ლენინი და სტალინი!

საზეიმო ნაწილი დამთავრდა. ბავშვებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი თბილისის თეატრების, ცირკის, საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით.

პარკის ყველა კუთხეში მხიარულებაა. ყველგან გაისმის სიმღერა, მუსიკა, ეწყობა მასობრივი ცეკვა, თამაში, ვიქტორინები. პარკში დიდხანს არ ცხრება მხიარულება.

შესანიშნავად გაატარეს მოსწავლეებმა არდადეგების თავიანთი უკანასკნელი დღე. ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილმა საღამომ ჩაიარა როგორც სასიხარულო დღესასწაულმა.

დასასრულ მოეწყო დიდი ფეიერვერკი. აგვისტოს ბნელი ღამე გააჩირაღდნა აურაცხელმა ნაირფერმა შუშხუნამ, მათ გააშუქეს ბედნიერ მოსწავლეთა მხიარული სახეები, მოსწავლეთა, რომლებმაც კარგად დაისვენეს და მზად არიან სწავლისათვის. (საქდესი).

ჩაის ამონაყარი კულტურა

ალმა-ატა, (საკდესი). ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-საკვლევმა ბაზამ შეაჯამა უგამის მთების ქედში ჩაის აკლიმატიზაციის სამუშაოთა შედეგები. საცდელ პლანტაციებში 2-6 წლის ასაკის შვიდი ათასზე მეტი მცენარეა. გამორკვეულია, რომ ყაზახეთის ჩაის გემო კავკასიის საუკეთესო ჯიშებს არ ჩამოუვარდება.

მეცნიერებმა გამოარკვიეს ჩაის ათვისების უპირატესობა ამონაყარ კულტურაში. ცდებმა ცხადყო, რომ ასაკთან ერთად ჩაის ბუჩქის ამოყრის უნარი იზრდება.

ატბასარ-ბარაკულის ახალი ხაზი

აკმოლინსკი. (საკდესი). მწყობრში ჩადგა ატბასარ-ბარაკულის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა — ერთ-ერთი იმ ახალი მაგისტრალებიდან, რომლებიც ოლქში შენდება. მან ატბასარის დიდი კვანძი დაუკავშირა შორეულ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს.

მალე ამუშავდება კოკჩეტავ-ვოლოდარსკოეს, ატბასარ-კრასნოზნამენსკაიას და ესილ-ლომონოსოვსკაიას მაგისტრალები. ახალი მაგისტრალები უზრუნველყოფილია ლოკომოტივებითა და ვაგონებით. ველზე გაჩნდა რკინიგზელთა დაბები, დიდი მარცვალსატვირთავი სადგურები — სოვეტსკაია, კოვილნაია, ხლებნაია და სხვები.

როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა

როსტოვის ოლქის კოლმეურნეებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ და ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (სიმინდის გარდა). ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

მატყლის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 17 ათასი ცენტნერით მეტი ნაზი მატყლი, ვიდრე მთელ გასულ წელს.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი თავი უზრუნველყვეს თესლით. ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მიმდინარე წლის 11 თვეში რძის საერთო ნაწველი გადიდდა 56 პროცენტით, თვითეული ძროხის წველადობა 310 კილოგრამით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 20 აგვისტოსათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 387 ათასი ცენტნერით მეტი რძე, 11,3 მილიონი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე 1954 წლის ამავე თარიღისათვის.

როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები დიდი აღმავლობით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სიმინდის ნათესების გაფართოების შესახებ. წელს ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაითესა 300 ათას ჰექტარზე მეტი სიმინდი. მთელი სიმინდი დაითესა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ტაროს და მწვანე მასის დასილოსებისათვის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ააგეს 1 მილიონ 300 ათასი ტონა ტევადობის სასილოსე ნაგებობანი, მათ შორის მოპირკეთებული ნაგებობანი 300 ათასი ტონა სილოსისათვის. ამჟამად მიმდინარეობს სიმინდის მასობრივი ცალცალკე აღება. უკვე დასილოსებულია 50 ათასი ტონა ტარო და 500 ათასი ტონა სიმინდის ჩალა და სხვა მწვანე მასა.

კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ საშემოდგომო თესვას. ითვალისწინებენ რა იმას, რომ საშემოდგომო ხორბალი ყველაზე მოსავლიანი კულტურაა, დასახულია წელს ოლქში მისი ნათესი ფართობები 225 ათასი ჰექტარით გადიდდეს. კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში დიდ დახმარებას უწევენ როსტოვის, ტაგანროგის, ნოვოჩერკასკისა და ოლქის სხვა ქალაქების მშრომელები. მათი დახმარებით კოლმეურნეობებში აშენდა 100 მაღალმექანიზებული კალოელევატორი მარცვლეულის გასაწმენდად, დამზადდა დიდი წარმადობის 400 დამხარისხებელი, 1.000 სატრაქტორო კულტივატორი, აიგო მეცხოველეობის მრავალი სადგომი.

ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები თავდადებით შრომობენ, რათა წარმატებით დაამთავრონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, შეასრულონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმა, გაადიდონ მისი პროდუქტიულობა და უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ვადამდე ჩაბარება. ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდ მუშაობას ეწევიან პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების მომზადებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა — მაღალ დონეზე

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლას. პარტიის ლენინგორის რაიკომი ქმედით ზომებს იღებს მასებში პოლიტიკური აგიტაციის გაძლიერებისათვის. რაიკომის ბიურო სისტემატურად განიხილავს ცალკეული აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების მუშაობის საკითხებს, ამჟღავნებს მათი საქმიანობის ნაკლოვანებებს და სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიის რაიკომმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა საზაფხულო იალაღებზე მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. რაიკომმა მთის ზონის კოლმეურნეობებში (ბალაანი, მიდელაანი, ჟორჟოხი) მიავლინა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც მწყემსებისათვის საღამო-წარმოდგენები გამართა. აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები მწყემსებს ესაუბრნენ საინტერესო თემებზე, წაუკითხეს ახალი გაზეთები. ყელის ტბის მიდამოებში მყოფი მწყემსებისათვის რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტმა ი. მასურაძემ მოაწყო ლექცია-საუბრები მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ცუდად როდია მოწყობილი სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტორგანიზაციის მდივანი ზ. ზიჩენოვი უნარიანად ხელმძღვანელობს აგიტკოლექტივს, განუმარტავს აგიტატორებს კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს, ეხმარება მათ საქმიანი რჩევა-დარიგებით. ცოცხალ, საინტერესო საუბრებს მართავს აგიტატორი ლ. ბითაროვა. მას ხშირად ნახავთ კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში. ამას წინათ კოლმეურნეებმა ლ. ბითაროვას სთხოვეს მორიგი საუბარი საერთაშორისო საკითხებზე მოეწყო. აგიტატორი გულდასმით მოემზადა. თავისი საუბარი ასე დაიწყო:

— ამჟამად მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღების ცენტრშია ჟენევის თათბირის შემდეგ დიდი სახელმწიფოების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები. საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი ღონისძიება განახორციელა, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას.

აგიტატორმა კოლმეურნეებს უამბო, თუ როგორ ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალიზმის ბანაკის ქვეყნები, კერძოდ, საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

წინაგარში ბევრია მოწინავე აგიტატორი. კარგად დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია ხელს უწყობს საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობას. წინაგარელებმა პირნათლად მოიხადეს ვალი სახელმწიფოს წინაშე და წარმატებით შეასრულეს პურის დამზადების გეგმა, საუკეთესოდ მოაწყეს მოსავლის აღება და ახლა, სხვა მიმდინარე სამუშაოთა შეუნელებლად, ენერგიულად ემზადებიან საშემოდგომო ხვნა-თესვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად.

საინტერესო, საქმიან საუბრებს აწყობს იკოთის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადაში აგიტატორი ა. ბაშარული. მოსავლის აღების დღეებში მან კალოზე მოაწყო აგიტპუნქტი. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ორჭოსანის, ქურთისა და სხვა კოლმეურნეობათა აგიტატორები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. განსაკუთრებით დაბალია პოლიტიკური აგიტაციის დონე ლარგვისის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში. მთელ რიგ ბრიგადებში და მეცხოველეობის ფერმებში კოლმეურნეებმა ისიც კი არ იციან, თუ ვინ არის მათთან აგიტატორად. ხელისმომწერლები დროზე ვერ იღებენ ჟურნალ-გაზეთებს. ყოველივე ამას გულდამშვიდებით შესცქერის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში რ. სუხაშვილი.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია და აგიტკოლექტივი არ ზრუნავს აგიტატორთა კადრების სწორად შერჩევისა და აღზრდისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ საფერშეთის სასოფლო საბჭოს ცალკეული აგიტატორები სუსტად ერკვევიან ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ზოგან კი აგიტატორების გამოყოფაც ავიწყდებათ. მაგალითად, დღემდე გამოყოფილი არ არის აგიტატორი სოფელ სალზიერის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ გადაჭრით გავაძლიეროთ სოფლად საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელონ იდეოლოგიური მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანს. საჭიროა ფართოდ მოეწყოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში. მთელი საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ დროზე დამთავრდეს მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღება, შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის.

პარტიის ლენინგორის რაიკომი და სასოფლო პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერებით ხელი შეუწყონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მშრომელთა აქტიურად ჩაბმას.

ი. ხაბალაშვილი,
საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის მდივანი.

თბილისის საწარმოთა კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. სურათზე: საქტრიკოტაჟის ფაბრიკის ქალის წინდების საამქროს მოწინავე მუშები ა. ფომინა (მარცხნივ) და ე. ვალიევა, რომლებიც ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 160-176 პროცენტით ანაღდებენ.

ფოტო შ. გოქაძისა.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ორთვიური

ტყიბული. (საქ. კორ.). წარმატებით მიმდინარეობს რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების ორთვიური. დღემდე ტყიბულქვანახშირისა და ტყიბულშახტმშენის ტრესტებში, აგრეთვე შახტებსა და სამშენებლო სამმართველოებში მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა შეიტანეს ასამდე რაციონალიზატორული წინადადება. ამ წინადადებათა დიდი უმრავლესობა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, წარმოების რეზერვების გამოყენებას, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას, ტონა ქვანახშირის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირების ღონისძიებს ეხება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ტყიბულშახტმშენის ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს მექანიკოსის კ. ზახტაძის მიერ დამზადებული ელექტროენერგიით მომუშავე სამანევრო მანქანა. ამ მანქანამ, რომელსაც იყენებენ შახტის ზედაპირზე ვაგონების სამანევროდ, დღეღამის განმავლობაში სამუშაოდან გაათავისუფლა 10 კაცი, გარდა ამისა, დააჩქარა საშახტო ვაგონების ბრუნვა, უსაფრთხო გახადა შრომა და დიდ ეკონომიასაც იძლევა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ინჟინერ ბ. დურმიშიძის, მექანიკოსების გ. ტურძელაძის, შ. კაკაბაძის და ა. ფოფხაძის წინადადებები.

სამშენებლო ბრიგადა ამ დღეებში

სამშენებლო ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 5 კაცისაგან შედგება. ჩვენ ყველანი პატივს ვცემთ მწყემსების შრომას და ვცდილობთ რაც შეიძლება უკეთესი პირობები შევუქმნათ მათ ნოლაის საზამთრო საძოვრებზე.

გასულ წელს ბრიგადის წევრებმა ბაჟიგანში აგეს მწყემსთა კეთილმოწყობილი სახლები და პირუტყვის მთელი სულადობისათვის საჭირო ფარეხები, საბატკნეები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი. ამჟამად ვმუშაობთ პირველი ფერმის ტერიტორიაზე, დავალებული გვაქვს ავაგოთ ახალი საცხოვრებელი სახლი და შევაკეთოთ არსებული შენობები. მწყემსთა ბინას, რომელსაც ახლა ვაშენებთ, 7 ოთახი ექნება. აქ მოეწყობა დასასვენებელი დარბაზი, ფერმის გამგის სამუშაო ოთახი, სამზარეულო, აბანო, წითელი კუთხე და სხვ. აქვე იქნება საკუჭნაო, დაიდგმება რადიომიმღები.

მშენებლობისათვის ძირითადად ადგილობრივ მასალას ვიყენებთ, კედლებს ალიზით ვაშენებთ. დროზე მოვიმარაგეთ კირი, ხე-ტყე და სხვა მასალები.

საუკეთესოდ მუშაობენ ბრიგადის წევრები ს. წიკლაური, გ. წიკლაური, ვ. აფციაური და ვ. წიკლაური. შენობის აგებაზე 22 ათასი მანეთი დაიხარჯება.

დავამთავრებთ თუ არა სახლის მშენებლობას და არსებული შენობების რემონტს, დამატებით ავაგებთ საწყობის ერთ შენობას და ღირსეულად შევხვდებით ჩვენს მწყემსებს.

ს. აფციაური,
დუშეთის რაიონის სოფელ მაქართის კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირი.

მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას

ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს ცუდად ეხმარებიან

შარშან ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული რძის ნახევარიც კი ვერ მიიღეს. ამ მხრივ წელსაც არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. კოლმეურნეობათა უმრავლესობა სამარცხვინოდ ჩამორჩა. მაღრაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას ათ თვეში თვითეულ ძროხაზე 176 ლიტრზე მეტი რძე არ მოუწველია.

ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქტიულობაში მტკიცე საკვები ბაზის უქონლობამ გამოიწვია. გასულ წელს კოლმეურნეობებმა არასაკმაოდ დაამზადეს თივა, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები. მართალია, სილოსის ჩადების დავალება ზევრგან გადამეტებით შეასრულეს, მაგრამ ხარისხი დაივიწყეს. ზოგან გადამწიფებული მწვანე მასა დაასილოსეს. მისი კვებითი თვისებები დაბალი იყო. აქედან ზოგიერთმა კოლმეურნეობამ წელს სათანადო დასკვნა გააკეთა. მაგალითად, სოფელ ოჟიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. გავარდაშვილი) გეგმით 650 ტონა საკვები უნდა დაასილოსოს. ვალდებულება იკისრეს 750 ტონა დაასილოსონ. ამ მიზნით 100 ტონის ტევადობის ახალი ორმოები და 300 ტონის ტევადობის ტრანშეები ააშენეს. ალვანის მტს-ის მექანიზატორი დ. იმერლიშვილი შეუფერხებლად ამუშავებს სილოსის საჭრელ მანქანას, რომელიც დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. სამასტონიან სასილოსე ორმოებში ყველა წესის დაცვით ჩადეს საკვები. მალე ოჟიოელები სიმინდის ტაროს დასილოსებას დაიწყებენ. ჩადებენ აგრეთვე ნაწვერალზე მოსულ, რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში შესულ 100 ტონა სიმინდს.

მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს 442 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 80 ძროხა. 1 ოქტომბრამდე ძროხების რიცხვს 25 სულით გაადიდებენ. მატნელები წელს 500 ტონაზე მეტი სილოსის დამზადებას ითვალისწინებენ. სამისოდ 300 ტონის ტევადობის ახალი ორმოები აგეს. სასილოსე მშენებლობაში თავი გამოიჩინეს კოლმეურნეებმა ო. ტერტერაშვილმა და ი. ძულიაშვილმა.

ამავე სოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. დონჯაშვილი) წელს ხუთი ახალი ორმო ააშენა. თვითეული 50 ტონა სილოსს დაიტევს. ძველ ორმოებში უკვე ორასი ტონა მზესუმზირა და სიმინდი დაასილოსეს. სულ მალე ახალ ორმოებსაც გაავსებენ. კოლმეურნეობამ საკმარისზე მეტი დაავგროვა უხეში საკვები. კარგად მუშაობენ საკვებმოპოვების ბრიგადის წევრები გ. ჯუგაშვილი, ზ. რუსიშვილი, თ. ხოხობაშვილი, თ. ქეითაშვილი.

მოწინავეებთან ერთად არიან ჩამორჩენილნი. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის ჯოყოლოს შევრნიკის სახელობის კოლმეურნეობის შესახებ. პარტიის რაიონული კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი ხშირად განიხილავენ ამ კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას, სახავენ ღონისძიებებს, უკანასკნელად კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაც შეიცვალა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. წელს აპრილში 220 ტონის ტევადობის ტრანშეისათვის გათხარეს მიწა. შარშან ჩადგმული საკირე ახლაც არ არის მზად. „შეშა არ გვქონდაო", — აცხადებენ ჯოყოლოელი მუშაკები. ეს იმ დროს, როცა ტყის დიდი მასივები ჯოყოლოდან ორ-სამი კილომეტრით არის დაშორებული. ტრანშეების მოსაპირკეთებლად არც ცემენტი გააჩნიათ. უხეში საკვებიც არა აქვთ საკმარისი. ნაწვერალზე სიმინდი მხოლოდ 10 ჰექტარზე დათესეს. მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა ძალიან ჭიანურდება.

ჯოყოლოს კოლმეურნეობას ორი ფიცრული გომური აქვს. სივიწროვის გამო ბაგებიც კი ვერ გაუმართავთ. მოზარდ პირუტყვს დაქირავებულ სადგომებში აზამთრებენ. ეს დიდ ხარჯებს იწვევს. ომალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას სრულებით არა აქვს პირუტყვის სადგომები.

დუისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. ქავთარაშვილი) შარშან დაიწყეს სადგომის აგება 87 სული პირუტყვისათვის. კედლები ამოიყვანეს და ამით დაკმაყოფილდნენ.

გომურების მშენებლობა გვიანდება ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ი. ჩხეტიანი), ზემო ალვნის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე გ. ცისკარიშვილი), ახშნის კალინინის სახელობის (თავმჯდომარე მ. ყურშიტაშვილი) კოლმეურნეობებში.

რატომ ურიგდებიან რაიონის ხელმძღვანელები ამ სერიოზულ ჩამორჩენას პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ხორბალი ავანსად

ყვარელი. (საქ. კორ.). ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ წელს ხორბლის უხვი მოსავალი მიიღო, ვადაზე ადრე და გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების დავალება, სათესლედ მაღალხარისხოვანი ხორბალი გამოჰყო, შემდეგ კი შრომადღეებზე ავანსად გაცემა დაიწყო. თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს 3 კილოგრამი ხორბალი ერგოთ.

ვ. ნერსეზაშვილის ოჯახმა 6 თვეში გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად 1.400 კილოგრამი პური მიიღო, ვ. მალაფერიძის ოჯახმა — 1.269 კილოგრამი, ბ. მჭედლიშვილის ოჯახმა — 1.200 კილოგრამი.

საქართველოს თეატრები ახალი ამოცანების წინაშე

ა. გუნია,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" დრამატურგებსა და თეატრის მუშაკებს მოუწოდა შექმნან მკაფიო, იდეურად სრულყოფილი, მხატვრულად გამართული ნაწარმოებები საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაზე, ასახონ პიესებსა და სპექტაკლებში ეს ცხოვრება განუწყვეტელ წინსვლაში, ხელი შეუწყონ საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო მხარეების განვითარებას, უპასუხონ ჩვენი მაყურებლების მზარდ კულტურულ მოთხოვნილებებს, ჩაუნერგონ მათ სამშობლოს, შრომის სიყვარული, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საბოლოო გამარჯვების რწმენა.

გასულ სეზონში საქართველოს თეატრების მიერ დადგმული მთელი რიგი პიესები უპასუხებენ ჩვენი მაყურებლის მოთხოვნილებებს. სპექტაკლებში ახლებურად გამოავლინეს თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მსახიობებმა: ვ. გოძიაშვილმა, ტ. საყვარელიძემ, ე. ყიფშიძემ — პიესაში „მაია წყნეთელი", გ. გეგეჭკორმა და რ. ჩხიკვაძემ — პიესაში „ხალისიანი მეგობრები", ვ. ანჯაფარიძემ და ც. თაყაიშვილმა — პიესაში „მარიამ სტიუარტი", კ. მიუფკემ, ი. მაქსიმოვამ, პ. ლუსპეკაევმა და დ. სლავინმა — პიესაში „პორტ-არტური", ი. რუსინოვმა—პიესაში „ბატონი ტოპაზი", ლუსინიანმა—პიესაში „კომი". მაყურებელი განსაკუთრებით აღაფრთოვანა სპექტაკლ „ვლახის ნაომბობში" ბ. ვასაძისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სხვა მსახიობთა შესანიშნავმა თამაშმა.

გასულ სეზონში ჩვენმა თეატრებმა მხატვრულად სუსტი პიესებიც უჩვენეს. ასეთებია, მაგალითად, გ. გაბუნიას „გადასინჯული საქმე", დ. თაქთაქიშვილის — „უკანასკნელი ნიღაბი", ა. გიგიაშვილის — „ეს მოხდა მოსკოვში", ი. არაყიშვილის — „უკანასკნელი ორიანი", ნ. კანდელაკის — „სწავლული სოფლად", აგრეთვე ბალაბანისა და სობკოს—„ასი მილიონი", იანოვსკის — „პროკურორის ქალიშვილი", სოლოდარის — „იასამნის ბაღში".

ამ პიესებში ასახული არ არის ჩვენი დროის ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებები, მკაფიოდ არ არის დახატული საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ადამიანების სახე, მოქმედება ზერელე, უფერული და მდარეა.

რესპუბლიკის წამყვან თეატრებში მდარე და ნაკლებმნიშვნელოვანი პიესების გამოტანა იმას მოწმობს, რომ ჩვენი თეატრები ნაკლებად მუშაობენ დრამატურგებთან.

რეპერტუარი მთავარია თეატრისათვის. მაგრამ ჩვენი თეატრები ჯერ კიდევ საკმაო აქტივობით არ მუშაობენ თავიანთი რეპერტუარის გაჯანსაღებისათვის. სცენაზე კვლავ ვხვდებით უიდეო, მხატვრულად სუსტ პიესებს.

გასულ სეზონში თეატრების მუშაობას ერთგვარი ძვრები დაეტყო. ხელმძღვანელობდა რა საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ ყოველდღიური კონტროლი დააწესა თეატრებისა და მუსიკალური დაწესებულებების საქმიანობაზე. პრაქტიკაში ინერგება რესპუბლიკის ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა ინდივიდუალური გასტროლები პერიფერიის თეატრებში. მაგალითად, სოხუმის მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ა. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ჩახავა; გორის თეატრის სპექტაკლებში წარმატებით გამოდიოდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე, ზუგდიდის თეატრში — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. კუპრაშვილი.

რესპუბლიკის თეატრებში უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარალელურ სპექტაკლებზე მუშაობა. ამ მიმართულებით კარგ შედეგებს მიაღწიეს მარჯანიშვილის სახელობის, გორის, მოზარდ მაყურებელთა და სოხუმის თეატრებმა.

განვლილ სეზონში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა განახორციელა სამი ახალი დადგმა: ა. შავერზაშვილის ოპერა „მარინე", პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „შჩელკუნჩიკი" და ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი".

ოპერა „მარინეს" დადგმამ ვერ გაამართლა იმედები. თეატრს ცუდად არ უმუშავნია ჩაიკოვსკის ბალეტის „შჩელკუნჩიკის" და განსაკუთრებით რუსული კლასიკური ოპერის „თავადი იგორის" დადგმაზე. ოპერისა და ბალეტის თეატრი ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით ვერ იზიდავს მაყურებელს. თეატრის ხელმძღვანელობა სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას. საჭიროა არსებითად განახლდეს მთელი რიგი დადგმები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეცვლილა და დაკარგეს თავიანთი მხატვრული ღირებულება. თეატრის ხელმძღვანელობამ ხშირად უნდა გამოიყენოს გასტროლების სისტემა, უნდა მოიწვიოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრების ოსტატები.

ოპერისა და ბალეტის თეატრი გაბედულად აწინაურებს ახალგაზრდა კადრებს, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის შემოქმედების დათვალიერების დროს.

რუსთაველის სახელობის თეატრი გასულ სეზონში მუშაობდა თავის შესაძლებლობებზე დაბლა, თეატრის სცენაზე არ ყოფილა ნაჩვენები ქართველი დრამატურგის არც ერთი ახალი პიესა თანამედროვე თემაზე. თეატრი საკმაო პრინციპულობას, მომთხოვნელობასა და თანმიმდევრობას ვერ იჩენდა პიესების შერჩევაში, სათანადოდ არ იბრძოდა სპექტაკლების მაღალი იდეურობისა და მხატვრული სრულყოფისათვის.

რუსთაველის სახელობის თეატრი წლების განმავლობაში სერიოზულად არ მუშაობდა აქტიორთა მხატვრული ოსტატობის ამაღლებისათვის. დეკლამაცია, შესრულების არაბუნებრივობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა თეატრში. სერიოზულად მოიკოჭლებდა მეტყველების კულტურა. ეს ისეთი საკითხებია, რომლებსაც ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს თეატრის ახალი ხელმძღვანელობა და ყოველდღიურად იბრძოლოს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამჟამად რუსთაველის სახელობის თეატრის სარეჟისორო კოლეგიამ ხელში აიღო თეატრის ხელმძღვანელობის საქმე, მისი საქმიანობა მიმართულია რეპერტუარის გაუმჯობესებისაკენ, თეატრის შემოქმედებითი ძალების ნაყოფიერად გამოყენებისაკენ. თეატრმა მჭიდრო კავშირი დაამყარა დრამატურგებთან.

შედარებით უკეთესად იმუშავა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. მაგრამ თეატრის რეპერტუარში წინა სეზონებთან შედარებით არის არსებითი ნაკლოვანებებიც. თუ წინათ თეატრი აქტიურად მუშაობდა თანამედროვე თემაზე პიესების შესაქმნელად, გასულ სეზონში ეს მუშაობა შესამჩნევად შესუსტდა.

თეატრს კარგი საფინანსო მაჩვენებლები ჰქონდა 1955 წლის პირველ ნახევარში, მაგრამ საფინანსო მაჩვენებლები ყველაფერი როდია. თეატრის ხელმძღვანელობა ივიწყებს, რომ თეატრის მთავარი ამოცანაა თანამედროვეობის თემაზე მუშაობა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თეატრმა სამოცჯერ აჩვენა სპექტაკლი „მაია წყნეთელი". ჩვენ ეჭვქვეშ არ ვაყენებთ ვ. კანდელაკის პიესის ღირსებას (რასაკვირველია, პიესა მიმზიდველია, აქვს მხატვრული ღირსება, თუმცა ნაკლოვანებებიც საკმაოდ მოეპოვება), მაგრამ თეატრმა თანამედროვე თემა არ უნდა შეცვალოს ისტორიული თემატიკით.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სერიოზულად მუშაობენ ახალგაზრდა კადრებთან, გაბედულად გამოჰყავთ ისინი პასუხსაგებ როლებში.

ადრე გრიბოედოვის სახელობის თეატრი არაერთხელ გააკრიტიკეს იმისათვის, რომ იგი ზედმეტად გატაცებულია სატირული ჟანრის პიესებით, ამასთან ისეთი პიესებით, რომლებიც არ გამოირჩევიან მაღალი იდეურობითა და მხატვრულობით. ეტყობა, გრიბოედოვის სახელობის თეატრმა ეს გაითვალისწინა და დადგა ისეთი პიესები, როგორიც არის „ტურბინთა დღეები", „პორტ-არტური". მაგრამ თეატრს დასჭირდება სერიოზულად ჩაუფიქრდეს რეპერტუარის შერჩევის საკითხს. არ კმარა მხოლოდ გაკაფული გზით სიარული. გრიბოედოვის სახელობის თეატრს რეპერტუარში არა აქვს ქართველი დრამატურგების და განსაკუთრებით თანამედროვე ქართველი დრამატურგების პიესები.

მუშაობა გააუმჯობესა სომხური დრამის თეატრმა. თეატრის რეპერტუარის საფუძველს შეადგენს სომხური ეროვნული დრამატურგია, რაც მისასალმებელია. მაგრამ საჭიროა სომხური დრამის თეატრმა რეპერტუარი გაამდიდროს ქართული და რუსული ნაწარმოებებით თანამედროვეობის თემაზე.

გასულ სეზონში ერთგვარი გარდატეხა მოხდა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მუშაობაში.

მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი დადგმები მოწმობენ, რომ თეატრის დირექციამ, რეჟისურამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი მუშაობას. სპექტაკლი „პერიკოლა" თავისი მხატვრული ღირებულებით და მუსიკალური შესრულებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე წინა წლების სპექტაკლები.

მიუხედავად დრამატული მასალის ერთგვარი სისუსტისა, ოპერეტა „სალხინობელი" მუსიკალური ჟღერადობისა და დადგმის მხრივ საინტერესო სპექტაკლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაყურებელმა კარგად მიიღო ახალი სპექტაკლი „ვრიჟინა". თეატრმა მიიზიდა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები, რომლებსაც მიანდო მთელი რიგი წამყვანი როლები. დასის შევსება ახალი ძალებით, ახალგაზრდა შემსრულებელთა გაბედული დაწინაურება თეატრის სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია.

უკეთესად მუშაობენ მოზარდ მაყურებელთა თეატრები. მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა გასულ სეზონში რვა ახალი დადგმა განახორციელა. თეატრი, მისი რეჟისურა კარგად მუშაობს დრამატურგებთან. მართალია, თანამედროვე თემაზე დაწერილი ყველა პიესა, რომლებიც თეატრმა დადგა, ვერ არის მხატვრულად სრულყოფილი, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს თეატრის ცდა ახალგაზრდა მაყურებელს უჩვენოს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ეხება მორალურ-აღმზრდელობით საკითხებს.

მოზარდ მაყურებელთა კაგანოვიჩის სახელობის რუსულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ექვსი ახალი დადგმა. ცუდად როდი მუშაობენ აგრეთვე თოჯინების ქართული და რუსული თეატრები.

რაიონული თეატრების რეპერტუარი ძირითადად ემყარება იმ დრამატულ მასალას, რაც უკვე განხორციელებულია თბილისის თეატრებში. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია დავასახელოთ თეატრები, რომლებმაც საკუთარი რეპერტუარის შესაქმნელად სერიოზული ნაბიჯები გადადგეს. მაგალითად, გორის ერისთავის სახელობის თეატრმა დადგა ორი პიესა — ო. ანდრონიკაშვილის „თამარის ბეჭედი" და გ. ივანიშვილის „ვილიცამ დარეკა", ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა განახორციელა ა. აბაშიას პიესა „უძილო ღამე", ბათუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ადგილობრივი დრამატურგის პ. ლორიას პიესა „დინარა" („პირველი საჩუქარი"). ასევე შეიძლება ითქვას ქუთაისის თეატრზეც.

პერიფერიის თეატრებმა მეტი გამბედაობა უნდა გამოიჩინონ ორიგინალური რეპერტუარის შექმნისათვის. პერიფერიის თეატრების ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ აკლია თეატრის შემოქმედებითი გზის ზუსტად და ნათლად განჭვრეტის უნარი, არა აქვთ სათანადო მიზანსწრაფვა რეპერტუარის გაუმჯობესებისაკენ მაგალითად, სოხუმის თეატრმა რეპერტუარში შეიტანა გ. გაბუნიას იდეურად და მხატვრულად სუსტი პიესა „გადასინჯული საქმე". ფოთის თეატრში წარმოადგინეს ახალგაზრდა დრამატურგის ნანა კანდელაკის სუსტი, არასრულფასოვანი ნაწარმოები „სწავლული სოფლად". კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ეს სპექტაკლი რეპერტუარიდან მოხსნა.

რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა სოხუმის, სტალინირის, ზუგდიდის, მახარაძის, თელავის, გორისა და ქუთაისის თეატრებმა. ქუთაისის თეატრი ასრულებს სარეპერტუარო გეგმას და ცდილობს ისე აგოს თავისი რეპერტუარი, რომ იგი სხვა თეატრებისას არ ჰგავდეს.

სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს სპექტაკლების საზოგადოებრივი განხილვა, ხშირად ამ განხილვას ფორმალური ხასიათი ეძლევა. როგორც წესი, პიესების განხილვის ორგანიზატორები არიან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატული სექცია და თეატრალური საზოგადოება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ განხილვებზე არ ხდება ნაწარმოებისა და სპექტაკლის ღრმა ანალიზი, მხატვრული სახეების, ძირითადი სიუჟეტური ხაზის დაწვრილებით განხილვა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ინიციატივით მოეწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლის „რაიკომის მდივნის" საზოგადოებრივი განხილვა. ამ ღონისძიებამ დიდი დახმარება გაუწია თეატრს. სპექტაკლების ასეთი განხილვა მეტად სასურველია. თუ გავითვალისწინებთ, რომ თეატრალური კრიტიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და თეატრების ხელმძღვანელებმა მეტი პასუხისმგებლობით უნდა იმუშაონ სპექტაკლების დადგმის კულტურის ასამაღლებლად. ხშირად საინტერესო პიესების ჩვენებისას ვხვდებით დაუდევრობას, სპექტაკლების მხატვრული დონე ამაღლების ნაცვლად თანდათანობით ეცემა.

ამჟამად თეატრების მუშაკებისა და დრამატურგების წინაშე დგას დიდი და კეთილშობილური ამოცანა — სრულყოფილად ასახონ თავიანთ დრამატულ ნაწარმოებებში და გვიჩვენონ თეატრების სცენებზე ის გიგანტური წარმატებები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა, აჩვენონ საბჭოთა ადამიანების სიცოცხლით სავსე ცხოვრება, მათი ახალი ხასიათები, მშვიდობისაკენ მისწრაფება, შრომითი მამაცობა და გმირობა.

უეჭველია, ჩვენი თეატრების მუშაკები დრამატურგებთან ერთად გამოიყენებენ მთელ თავიანთ შემოქმედებითს შესაძლებლობას იმისათვის, რომ სრულად დააკმაყოფილონ საბჭოთა მაყურებლის გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება.

აღვუზარდოთ სამშობლოს ყოველმხრივ განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდობა

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებელია თავისი კარგად მოწყობილი ლაბორატორიებით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკით, მეცნიერ-მასწავლებლებითა და დამხმარე პერსონალით. სასწავლო პროცესთან ერთად აქ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს. უნივერსიტეტის მეცნიერთა შრომები ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. აქ ყოველწლიურად 400-მდე სამეცნიერო შრომა სრულდება.

თავისი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტმა 21 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვა. ისინი ახლა ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ამჟამად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. აქ არიან ახალგაზრდები ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან.

ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტში იმუშავებს ხუთასზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 285 პროფესორი და დოცენტი.

ახალი სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის 20-მდე კათედრაზე გაიმართა კონკურსი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად განახლდა კათედრების შემადგენლობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღებისა და ყოველდღიური ზრუნვის შედეგად უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე კორპუსის ფლიგელი, რომელიც 3.200 კვადრატული მეტრით გაზრდის შენობის სასარგებლო ფართობს. აქ ეწყობა ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იქნება უახლესი ხელსაწყოებითა და აპარატურით.

უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსის შეკეთებაზე ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა. წელს კაბინეტ-ლაბორატორიების ახალი ხელსაწყო-იარაღებით შესავსებად გაღებულ იქნა მილიონ ორასი ათასი მანეთი.

სტუდენტთა ქალაქის საბინაო ფართობი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. წელს ბინების შეკეთებაზე ოთხასი ათასი მანეთი დაიხარჯა. ამჟამად მუშავდება პროექტები სტუდენტთა ქალაქის ტერიტორიაზე ახალი კაპიტალური საცხოვრებელი შენობების ასაგებად.

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კარგი შევსება მიიღო. უგამოცდოდ სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩაირიცხა 302 მედალოსანი, ხოლო 430 ვაკანტურ ადგილზე გამოცდებს აბარებდა 2.391 კაცი.

მიმღებ კომისიას საშუალება ჰქონდა უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა შორის შეერჩია საუკეთესო ახალგაზრდები. გამოცდებმა ცხადყო, რომ წელს შედარებით უკეთესად მომზადებული ახალგაზრდობა მოვიდა კონკურსზე და ბევრმა საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო.

ამასთან გამოცდებმა გვიჩვენა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უპასუხებენ მათ წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს. საშუალო სკოლებში სათანადოდ არ არის დაყენებული რუსული ენის სწავლება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებები ახასიათებთ სასოფლო რაიონების სკოლებს.

დღითიდღე მტკიცდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავშირი მრეწველობასთან, სოფლის მეურნეობასთან. ხშირად ეწყობა გამსვლელი სამეცნიერო სესიები საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. სტუდენტები სადიპლომო შრომებს იცავენ კოლმეურნეობებში.

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ყოველწლიურად მუშაობენ უნივერსიტეტის ექსპედიციები. გეოლოგები, ბუნებისმეტყველები, ქიმიკოსები, გეოგრაფები და სხვ. აგროვებენ მეცნიერულ მასალას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით ხვდება ახალ სასწავლო წელს.

შ. ირემაძე.

მომზადებული ხვდებიან

ფოთი. (საქ. კორ.). ქალაქის სკოლებში წარმატებით დამთავრდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. 12 სასკოლო შენობიდან კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 8-ს, ხოლო მიმდინარე — ოთხს, რაზეც 400 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. შეკეთდა მერხები, დაფები, სკამები, მაგიდები. კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო ახალი ხელსაწყოებით, შეძენილ იქნა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა ბიბლიოთეკებისათვის და სხვ.

სკოლებს დიდი დახმარება გაუწიეს შეფმა ორგანიზაციებმა. მეოთხე და მეექვსე საშუალო სკოლაში აშენდა სახელოსნოების კაპიტალური შენობები. მიწისმწოვი დანადგარების ქარხანამ სახელოსნოებისათვის გამოჰყო სხვადასხვა სახის ხელსაწყოები, მათ შორის ლითონსაჭრელი ჩარხი.

სკოლები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით. 1-ლ საშუალო სკოლაში დაწყებულია სამუშაოები ორანჟერიის ასაგებად. მას აშენებენ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა და ქალაქის გამწვანების განყოფილება. მშენებლობა 50 ათას მანეთზე მეტი ჯდება. დანარჩენ სკოლებში სათბურები ეწყობა.

მშენებელთა საჩუქარი მოსწავლეებს

ირგვლივ ყველაფერი ახალია: ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებიც, დაუმთავრებელი შენობებიც, ხარაჩოების არტახებით რომ არიან შებოჭილი, ლარივით გაჭიმული ქუჩებიც, სადაც ვერ მოუსწრიათ ქვაფენილის დაგება ან მოასფალტება.

მშენებლობა კი კვლავ მიდის უჩვეულოდ სწრაფად. ქალაქის ეს უბანი — ნავთლუღის ახალი დასახლება — მრავალ მობინადრეს იზიდავს, დღითიდღე ფართოვდება, მშვენიერდება.

ამ დღეებში ახალუბნელებმა კიდევ ერთი სიხარული განიცადეს. მშენებლებმა ხარაჩოები ჩამოხსნეს 103-ე საშუალო სკოლის ახალ შენობას, რომელმაც თავისი სილამაზით შეამკო ეს უბანი.

სკოლაში ჯერ პირველი ზარი არ დარეკილიყო, მაგრამ ფართო დერეფნებში უკვე გაისმოდა მოსწავლეთა ჟივილ-ხივილი. ყველაზე ცნობისმოყვარენი მშენებლობის დამთავრებამდე მოვიდნენ, შემოირბინეს ხუთივე სართული, ხმაურით გააღეს ახლადშეღებილი საკლასო ოთახები, კაბინეტები, შეიჭვრიტეს სასპორტო დარბაზში, კლუბში, პიონერთა ოთახში.

ყურადღებას იპყრობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია-კაბინეტები, თვითეული რამდენიმე მოზრდილი, ნათელი ოთახით. აუდიტორიებში მოწყობილია სადემონსტრაციო დაფები და მაგიდები, დამხმარე სათავსები.

დამპროექტებლებს სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების განსახორციელებლად საუკეთესო პირობები შეუქმნიათ. მოზრდილი ფართობი დათმობილი აქვს „შრომის ოთახს", სადაც ერთდროულად ოცი მოსწავლე იმეცადინებს. ერთ დიდ ოთახში იდგმება დაზგა-მაგიდები, ხოლო მეორეში — სალესი და საბურღავი ჩარხები. ორი ოთახი გამოყენებული იქნება იარაღ-მასალებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების შესანახად.

სკოლას აქვს სამასწავლებლო, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის კაბინეტები, პიონერთა ოთახი და სხვა ადმინისტრაციული ოთახები. ქვედა სართულის ერთი ნაწილი გათვალისწინებულია სასადილოსა და სამზარეულოსათვის, სადაც ცხელი საუზმის დამზადება შეიძლება. მეორე ნაწილში მოეწყობა გარდერობი მოსწავლეთა ტანსაცმლის შესანახად. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა, განათება, სულ 42 ფართო, ნათელი ოთახი.

მთელი მეხუთე სართული უკავია კლუბსა და სასპორტო დარბაზს.

ძვირფასი საჩუქარი ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეებს მოუმზადა თბილისის საერთო-საქალაქო მშენებლობის პირველი ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ი. ღლობერიძე) კოლექტივმა.

მშენებლები მუშაობას აპრილის პირველ რიცხვებში შეუდგნენ. მათ წინაშე იდგა ამოცანა — სკოლის აგება დაემთავრებინათ წლის ბოლოსათვის. მაგრამ ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ ვადამდე ჩაებარებინათ შენობა. მშენებლობა მიმდინარეობდა ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით.

მუშაობაში თავი ისახელეს გ. მიკირტუმოვის კალატოზთა, ს. კუროშიანის დურგალთა, ჰ. სარქისიანის მებეტონეთა ბრიგადებმა. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ სამუშაოთა მწარმოებლები დ. ხაჟომია და ვ. სიხარულიძე.

გ. ოქრუაშვილი.

* * *

სურათზე: თბილისის 103-ე საშუალო სკოლის ახალი შენობა. ფოტო შ. გოქაძისა.

სამხრეთ ოსეთის სკოლებში

წელს სამხრეთ ოსეთის სკოლებში უკეთესად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის. თვალსაჩინოდ განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა. ოლქის 325 სკოლასა და ინტერნატში ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, რაზეც თითქმის ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯა.

სერიოზული ყურადღება მიექცა სკოლების დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური კადრებით და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. საზაფხულო არდადეგების პერიოდში ოლქის სკოლების 160 მასწავლებელმა გაიარა გადასამზადებელი კურსები. სკოლებში წელს უმაღლესი სასწავლებლის 96 კურსდამთავრებული ახალგაზრდა დაიწყებს მასწავლებლობას.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ დროულად გამოსცა ოსური ლიტერატურის ქრესტომათიები V-XI კლასებისათვის. გამოიცა აგრეთვე III-IV კლასების რუსული ენის სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების ნაწილი შემოტანილ იქნა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკიდან. აღსანიშნავია, რომ მაღაზიებში ნაკლებად არის რვეულები და ზოგიერთი სასკოლო ნივთი.

განათლების ორგანოებმა და სკოლებმა გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე ჩაატარეს სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა და მათი სკოლისათვის მომზადება. წელს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის თანახმად სამხრეთ ოსეთში სკოლებს დაუბრუნდება სკოლიდან განთესილი 1.500 ბავშვი.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით ბევრი ახალი ხელსაწყო მიემატა სასწავლო კაბინეტებს; ამუშავდება რამდენიმე სპეციალური სასწავლო სახელოსნო.

დღეს ოლქის რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა ხალისითა და სიხარულით შეუდგება სკოლებში მეცადინეობას. სწავლის დაწყების პირველი დღე მათთვის დიდი ზეიმია.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტი.

შეფი ორგანიზაციების დახმარებით

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქალაქის სკოლები მომზადებული ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სკოლებს სერიოზული დახმარება გაუწიეს საშეფო ორგანიზაციებმა.

ლითოპონის ქარხნის დირექციამ მე-8 საშუალო სკოლის საჭიროებანი ადრევე, რემონტის დაწყების წინ შეიტყო და თავისი ტრანსპორტით იქ გადაზიდა 80 კილოგრამი ზეთი (ოლიფა), 50 კილოგრამი თეთრა, რამდენიმე კუბმეტრი შეშა და სხვ. ქარხანამ თავისი მანქანით სკოლას მიუზიდა 40 კუბმეტრი შეშა.

მე-19 საშუალო სკოლაში წელს რემონტი ძირითადად საშეფო ორგანიზაციის — ქუთაისშენის № 1 სამმართველოს საშუალებით განხორციელდა.

სკოლისა და საწარმოს თანამეგობრობა

საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის თბილისის მე-12 საშუალო სკოლას დიდ დახმარებას უწევს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. ქარხანამ ჩვენი სკოლისადმი შეფობა იკისრა. სკოლისა და საწარმოს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი კავშირის შედეგად სწორი საშეფო ურთიერთობა დამყარდა. სკოლის კოლექტივი ქარხნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეხმარება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლაში. მასწავლებელთა ძალებით ქარხანაში იკითხება ლექციები, მოხსენებები.

საწარმოს ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციას და მუშებს დიდად აინტერესებთ სკოლის ცხოვრება. ქარხნის მუშაკები ხშირად მოდიან სკოლაში, სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით ურთიერთგაცნობისა და დაახლოების მიზნით მოეწყო წარმოების მოწინავეთა შეხვედრა მოსწავლეებთან. საქარხნო სახელოსნო სასწავლებელში ჩვენი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთათვის ჩამოყალიბდა ტექნიკური წრეები, რომელთა ხელმძღვანელებად გამოყოფილ იქნენ მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსები და ოსტატები. ქარხნის წარმომადგენლები ესწრებიან პიონერთა რაზმების შეკრებას.

ჩვენმა პედაგოგიურმა კოლექტივმა პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის დარგში ერთგვარი გამოცდილება შეიძინა. ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების მასწავლებლები ისწრაფვიან მრავალფეროვანი გახადონ საშინაო დავალებანი, მისცენ მათ პრაქტიკული ხასიათი. მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს საბჭოთა აგრონომიის მიღწევებს, უღვივებენ მათ სოფლის მეურნეობისადმი ინტერესსა და სიყვარულს, აწყობენ ლაბორატორიულ მუშაობას. ბიოლოგიის მასწავლებლებმა მოაწყეს ექსკურსიები გარეუბნის რაიონის სოფლების დიღმის, ორთაჭალის და სხვა კოლმეურნეობებში, ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურ სადგურში.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთს. სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ფართობის ნაკვეთი. ამჟამად აქ სანიმუშოდ არის მოვლილი სიმინდის ნათესი. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ნაკვეთში მოეწყო აუდიტორია დამხმარე ოთახით. გაყვანილია წყალი და რამდენიმე ადგილას დადგმულია წყლის ონკანები. განზრახულია სათბურის აგება.

გასული სასწავლო წლის დასაწყისში კიროვის სახელობის ქარხანამ სკოლას საკმაო რაოდენობით დაუმზადა ნაკვეთის დასამუშავებელი სამეურნეო იარაღები, ფიზიკის ლაბორატორიაში დადგა სადემონსტრაციო მაგიდა ასამაღლებელი მოედნით. ქარხანამ სკოლის სახელოსნოში მოაწყო სხვადასხვა დანადგარი. სახელოსნოში მოსწავლეები ამზადებენ თვითნაკეთ ხელსაწყოებს, ეუფლებიან ჩარხებს, ბურღვას და სადურგლო საქმეს. ახალი სასწავლო წლისათვის განზრახული გვაქვს გავაფართოოთ სახელოსნო.

სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით კიროვის სახელობის ქარხანაში მოეწყო კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო. სიტყვებით გამოვიდნენ კურსდამთავრებულნი და ქარხნის მოწინავე მუშები, ინჟინრები. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი დარწმუნდნენ, რომ უმაღლესი განათლების მიღება მათ შეუძლიათ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. მათმა საგრძნობმა ნაწილმა გადაწყვიტა სამუშაოდ წავიდეს ქარხანაში და თან დაუსწრებლად ისწავლოს.

მე-12 საშუალო სკოლა მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი გამოცდილება პოლიტექნიკური სწავლების დარგში.

მ. სიხარულიძე,
თბილისის მე-12 საშუალო სკოლის დირექტორი.

მნიშვნელოვანი ეტაპი სკოლის ცხოვრებაში

გ. ჯიბლაძე
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

უკანასკნელ ხანებში ორ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი სახალხო განათლების სისტემაში: გასულ სასწავლო წელს შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან გადავედით ათწლიან სწავლებაზე. ეს გარემოება ბუნებრივად განსაზღვრავს განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობის ხასიათს, მათ წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა კიდევ უფრო ენერგიული და დაძაბული მუშაობა.

ათწლიან სწავლებაზე გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც მექანიკური პროცესი — ერთი კლასის შემცირება. პირიქით, იგი უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ათწლიანის ნაცვლად თერთმეტწლიანი სწავლების შემოღება. ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი, რომლებიც აგრეთვე განმარტავენ ახალ სასწავლო გეგმასა და პროგრამებს, სავსებით ნათლად გვიჩვენებენ მიმდინარე ეტაპზე სკოლის მუშაობის სპეციფიკურ პირობებს. აღნიშნული მითითებანი ღრმად უნდა შეისწავლონ სახალხო განათლების მუშაკებმა, სკოლების დირექტორებმა და მასწავლებლებმა, რათა ისინი ზუსტად გაერკვნენ მათ წინაშე მდგომ სერიოზულ ამოცანებში.

გარდამავალი სასწავლო გეგმა ჩვენს წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს. ის გარემოება, რომ მიმდინარე სასწავლო წლის მერვე კლასი პირველი დაამთავრებს ათწლედს წლევანდელ მეცხრე კლასთან ერთად, მასწავლებელთა მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას მოითხოვს. მერვე კლასმა სამ წელიწადში უნდა გაიაროს ოთხი წლის პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

მაინც რა არის ათწლიანი საშუალო სკოლის ახალი სასწავლო გეგმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი? უწინარეს ყოვლისა მისი უფრო მეტად პოლიტექნიკური ხასიათი. პროფილი შეცვლილია იმგვარად, რომ ჰუმანიტარულ დისციპლინათა მოცულობის შემცირების საფუძველზე შემოგვეღო პოლიტექნიკური საგნების სწავლება. ეს საგნებია შრომა და პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც ისწავლება პირველი კლასიდან მოყოლებული მერვე კლასამდე, ხოლო მერვე, მეცხრე, მეათე კლასებში—სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკის პრაქტიკუმი. ეს ახალი საგნები მიზნად ისახავენ მოსწავლემ მიიღოს შრომითი ჩვევა, შეისწავლოს თანამედროვე რთული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ელემენტარული საფუძვლები, რათა საშუალება ჰქონდეს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ამავე დროს დაუსწრებლად ისწავლოს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ან ტექნიკურ სასწავლებელში, ხოლო საშუალო სკოლიდან უშუალოდ უმაღლესში თუ შევა, ადვილად, თანაც ღრმად დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის მის მიერ არჩეულ დარგს.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევად გარკვეულ სიძნელეთა გადალახვაა საჭირო. სკოლაში უნდა მოვაწყოთ დაწყებითი კლასებისათვის სამუშაო ოთახები, ხოლო უფროსი კლასების მოსწავლეთათვის — სასწავლო სახელოსნოები.

როგორც წესი, საჭიროა ყველა სკოლას ჰქონდეს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, შემოღობილი და წარწერაგაკეთებული. ნაკვეთი დაყოფილი და მიმაგრებული უნდა იყოს მოსწავლეთა ცალკე ბრიგადებზე. არ შეიძლება სასწავლო-საცდელი ნაკვეთი დამხმარე მეურნეობად გადავაქციოთ. იგი მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო ნაკვეთია.

უფრო გართულებულია სასწავლო სახელოსნოების მოწყობა, მაგრამ ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულება იმის შესახებ, რომ ნებადართულია სკოლებს უსასყიდლოდ გადაეცეთ წარმოებაში გამოუყენებელი მანქანა-იარაღები და მოწყობილობა. ბევრმა შეფმა ორგანიზაციამ სკოლებს უკვე მოუწყო სასწავლო სახელოსნოები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტექნიკური განათლების საქმეში.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელება სახალხო განათლების ორგანოების, სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისაგან მოითხოვს ისე მუშაობას, რომ არც ერთი ბავშვი არ დაგვრჩეს სკოლის გარეთ. ამ მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. განათლების განყოფილებანი ზოგჯერ ურიგდებიან აღნიშნული კანონის დარღვევებს, მთელი მონდომებით არ იბრძვიან მოსწავლეთა განთესვის წინააღმდეგ.

საჭიროა როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ისე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ აღმოფხვრან მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, უფრო ოპერატიულად იმუშაონ, ისე წარმართონ აპარატის მთელი საქმიანობა, რომ ახალ სასწავლო წელს ახალი წარმატებანი მოიპოვონ მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ნაკლოვანებანი კი ცოტა როდი გვაქვს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არა დგას მოწოდების სიმაღლეზე, კარგად ვერ ფლობს საგანს, ამავე დროს არა აქვს სათანადო პედაგოგიური მონაცემები. სუსტია მათი მუშაობის კონტროლი, ისევე როგორც დახმარება კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ყველა სკოლის პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები არ მუშაობენ მთელი მონდომებით. ყველა მასწავლებელი როდია გამსჭვალული იმის ღრმა შეგნებით, რომ დისციპლინის განმტკიცება სკოლაში აღმზრდელთა კოლექტივის თვითეული წევრის პირდაპირი მოვალეობაა. სკოლის წარმატებას ასევე ხელს უშლის მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასების მავნე პრაქტიკა. ზოგიერთი მასწავლებელი, შესაძლებელია მოუმზადებლობის გამო, მაღალ შეფასებას აძლევს მოსწავლის დაბალ ცოდნას. ყველაზე ნათლად ეს მჟღავნდება მედლის მინიჭების დროს. მშობლები ხშირად გაოცებას გამოთქვამენ, თუ რატომ ხდება, რომ ბავშვი წლების მანძილზე წარმატებით სწავლობდა, სულ ხუთები ჰქონდა, ხოლო განათლების სამინისტროს კოლეგიამ ნიშნები დაუკლო და მედალი არ მისცა. და განა ჩვენ ასობით ფაქტი არა გვაქვს, როცა მედალოსნის კანდიდატმა არა თუ მედალი არ მიიღო, არამედ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს არადამაკმაყოფილებელი ნიშანიც დაეწერა? ყოველივე ეს ჩვენი, სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მაჩვენებელია.

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია აგრეთვე პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მეტისმეტი გადატვირთვა. სახალხო განათლების ყველა მუშაკი გრძნობს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამჟამად მოქმედი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მოცულობა ძალიან გაზრდილია, რომ მათი მასშტაბი მნიშვნელოვნად დაცილებულია მეცნიერებათა **საფუძვლების** სწავლებას. ზოგიერთ დისციპლინაში **საფუძვლების** ნაცვლად ჩვენ თვით **მეცნიერებას** ვასწავლით, საშუალო სკოლის მოსწავლის გონებისათვის კი ამ თეორიული ტვირთის აწევა ძნელია, ხშირად შეუძლებელიც. უთუოდ საჭიროა გადავხედოთ შემცირების მიზნით ჩვენს პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, უწინარეს ყოვლისა კი ეს უნდა გააკეთოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა, რომელმაც მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებლებთან ერთად თავისი კონკრეტული მოსაზრებანი უნდა შეიმუშაოს თვითეულ ცალკე დისციპლინაში.

ახალი სასწავლო წლისათვის სულ გამოცემულ იქნა 104 სახელწოდების სახელმძღვანელო. ბევრი მათგანის პოლიგრაფიული ხარისხი დაბალია. სახელმძღვანელოების გამოცემა თითქმის ყოველწლიურად დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ერთი და იგივე სახელმძღვანელო ყოველწლიურად იბეჭდება. არა გვაქვს სტაბილური სახელმძღვანელოები, რომ თვითეულმა მათგანმა თუნდაც 5-6 წლის მანძილზე ხელახალი გამოცემა არ მოითხოვოს. ამ მხრივაც ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შეიქმნას სტაბილური სახელმძღვანელოები, რომელთა ყოველწლიური გამოცემა არ დაგვჭირდება. განა არ შეიძლება სტაბილური სახელმძღვანელოები გვქონდეს ისეთ საგნებში, როგორიც არის მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ქართული ლიტერატურა?

საბჭოთა სკოლას უდიდესი წარმატებები აქვს მოპოვებული, იგი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სკოლაა და მით უფრო შეუწყნარებელია აღნიშნულ ნაკლოვანებათა არსებობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად სახალხო განათლების ორგანოები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ახალ სასწავლო წელს ახალი წარმატებებით ხვდებიან. წელს სკოლები 17 ახალ შენობას მიიღებენ. მარტო კაპიტალურ რემონტზე 25 მილიონამდე მანეთი დაიხარჯა. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 810 სასკოლო შენობას, 163 საბავშვო ბაღსა და 38 სხვა საბავშვო დაწესებულებას. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გასწიეს ქალაქ თბილისის, სამტრედიის, აბაშის, გარდაბნის, საგარეჯოს, ქუთაისის, ახალციხის რაიონების განათლების განყოფილებებმა. აჭარის ავტონომიურმა სს რესპუბლიკამ ყველაზე უკეთ იმუშავა, ადრე და მაღალხარისხოვნად შეასრულა კაპიტალური რემონტის გეგმა.

მნიშვნელოვანი თანხები იყო აგრეთვე გამოყოფილი სასკოლო შენობების მიმდინარე რემონტისათვის. რესპუბლიკაში მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 3.129 სასკოლო შენობას, 72 საბავშვო ბაღსა და 27 სხვა საბავშვო დაწესებულებას. შეკეთდა 101.391 მერხი, 11.511 დაფა, 13.000 მაგიდა, 18.600 სკამი და სხვა სასკოლო ინვენტარი.

დიდი რაოდენობით იქნა გამოშვებული რვეულები, ჟურნალები, სასკოლო დოკუმენტაცია.

რაც შეეხება სასკოლო მშენებლობას, წელს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე შარშან იყო. საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მოკლე ვადაში ააშენა დიდი სასკოლო შენობა 26 კომისრის რაიონში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგან სასკოლო მშენებლობას წელსაც არ მიაქციეს სათანადო ყურადღება. ძალიან გაჭიანურდა პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის მშენებლობა. ნელი ტემპით მიმდინარეობდა სარფის (ბათუმის რაიონი) სკოლაზე მეორე სართულის დაშენება. სრულიად არადამაკმაყოფილებლად აშენებენ გაგრის რაიონის ბზიფის რვაწლიანი სკოლის შენობას. კვლავ ჩამორჩენილია მათხოჯის (წულუკიძის რაიონი) სკოლის მშენებლობა.

არ შეიძლება დადებითად არ მოვიხსენიოთ პარტიის წყალტუბოს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ენერგიული მუშაობა სკოლის მშენებლობის დარგში. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ წყალტუბოში ორი ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა წარმატებით დამთავრებულიყო, გარდა ამისა, გადაწყვეტილიყო ზოგიერთი სხვა სასკოლო შენობის საკითხი.

რესპუბლიკაში კვლავ მოუგვარებელია ინტერნატების გახსნის საქმე. ამ მხრივ გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული, მაშინ, როცა მცირეკონტინგენტიანი სკოლები ძალიან ბევრია და სხვა სკოლებთან მათ შეერთებას სწორედ ინტერნატების უქონლობა უშლის ხელს. საჭიროა განათლების ორგანოებმა ყოველმხრივ გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით.

ვიწყებთ ახალ სასწავლო წელს ახალი ენერგიით, ახალი ამოცანების სრული შეგნებით, და არავითარი ეჭვი არ არის, რომ სახალხო განათლების მრავალათასიანი კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს ჩვენი მხნე, შრომისმოყვარე, ნიჭიერი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს.

„გამოინახოს სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოების გზები"

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის რეკომენდაციის შესაბამისად 29 აგვისტოს მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა.

პირველ სხდომას რიგითობის წესით თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

ქვეკომიტეტის სხდომის დროს, რომელიც კარდახურულ დარბაზში მიმდინარეობდა, პრესის წარმომადგენლებს დაურიგეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის წარმომადგენლების განცხადებათა ტექსტები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის აზრით, განიარაღების პრობლემის განხილვისას მთავარი ამოცანაა გამოინახოს სახელმწიფოთა პოზიციების ამ საკითხში დაახლოებისა და როგორც ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხზე, ისე ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე საჭირო შეთანხმების მიღწევის გზები. მან აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზანს ისახავს საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, და მოაგონა სხდომას ამ წინადადებათა ძირითადი შინაარსი. ამ წინადადებათა მთავარი განმასხვავებელი თვისება, თქვა სობოლევმა, ის არის, რომ აქ თავმოყრილია წინადადებანი ყველა საკითხზე, რომლებიც უშუალოდ ეხება ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

10 მაისის საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ შემცირდეს შეიარაღება და აიკრძალოს ატომური იარაღი 1956-1957 წლებში ორ ეტაპად. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ დაწესდეს დონე, რომლამდეც უნდა შემცირდეს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, — 1-დან 1,5 მილიონ კაცამდე საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთისათვის და 650 ათასი კაცი საფრანგეთისა და ინგლისისათვის. გათვალისწინებულია აგრეთვე მსოფლიო კონფერენციის მოწვევა სხვა სახელმწიფოებისათვის შეიარაღებული ძალების დონის დასაწესებლად.

საბჭოთა წინადადებანი უკვე პირველ ეტაპზე ითვალისწინებენ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების დაწყებასთან ერთად სახელმწიფოები საქვეყნოდ კისრულობენ ვალდებულებას არ გამოიყენონ ატომური იარაღი. ამ ეტაპზე, ე. ი. 1957 წელს, უნდა შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება და შესაბამისად შემცირდეს სახელმწიფოთა საბიუჯეტო ასიგნობანი სამხედრო საჭიროებისათვის, ხოლო მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალების და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება განხორციელდება მათი შემცირების საერთო ოდენობის 75 პროცენტით, ძალაში უნდა შევიდეს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების სრული აკრძალვა. 10 მაისის წინადადებანი ითვალისწინებენ, განვითარდეს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ აგრეთვე განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებისადმი საერთაშორისო კონტროლის ეფექტიან ღონისძიებებს.

საბჭოთა მთავრობას, თქვა სობოლევმა, მიაჩნია, რომ საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა და საკონტროლო ორგანოს უფლებათა და მოვალეობათა საკითხი უნდა განვიხილოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებასთან და სხვა ისეთ ღონისძიებათა განხორციელებასთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც ეხება შეიარაღების შემცირებას და ატომური იარაღის აკრძალვას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამა წლის 10 მაისის საბჭოთა წინადადებებში გათვალისწინებულია დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილები, რაც ჩამოყალიბებულია მათს წინადადებებში, რომლებიც შეტანილია ქვეკომიტეტში, კერძოდ, მათი სურვილები შეიარაღებული ძალების დონის შესახებ, ატომური იარაღის აკრძალვის არა ერთბაშად, არამედ ეტაპებად განხორციელებისა და იმის შესახებ, რომ შეიქმნას ერთიანი ორგანო შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა შესრულებისადმი კონტროლისათვის.

საბჭოთა კავშირმა, თქვა სობოლევმა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, მიიღო რა მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა წამოაყენეს, ახლა ჯერი დასავლეთის სახელმწიფოებზეა.

შემდეგ სობოლევმა ჩამოაყალიბა იმ ახალ წინადადებათა არსი, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ შეიტანა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე 21 ივლისს და რომლებიც 10 მაისის საბჭოთა წინადადებების შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ.

საბჭოთა კავშირის წინადადებებს, თქვა სობოლევმა, დადებითად შეხვდნენ მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრივი წრეები, აგრეთვე ევროპისა და აზიის მთელ რიგ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებმაც ღირსეულად შეაფასეს ისინი, როგორც საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი წვლილი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის 10 მაისისა და 21 ივლისის წინადადებებისადმი. სობოლევმა იმედი გამოთქვა, რომ ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ქვეკომიტეტში გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამ წინადადებათა არსის შესახებ.

საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მთავრობა თავის მხრივ უკვე დაადგა შეიარაღებული ძალების შემცირების პრაქტიკული განხორციელების გზას, მიიღო რა გადაწყვეტილება, რომ შეამციროს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ავსტრიიდან გამოყვანილი ჯარების რაოდენობით და 1955 წლის 15 დეკემბრისათვის შეამციროს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ჯარების რიცხვი 640 ათასი კაცით. საბჭოთა კავშირი, თქვა სობოლევმა, მოელის, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავთ, თავის მხრივ დაუყოვნებლივ მიიღებენ შესაბამის ღონისძიებებს თავიანთი შეიარაღებული ძალების შესამცირებლად. ეს, უეჭველია, ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ნდობის შემდგომ განმტკიცებას და რეალურ ნიადაგზე დააყენებდა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს.

„უკანასკნელი დროის ფაქტები, — განაცხადა დასასრულ სობოლევმა, — და განსაკუთრებით ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები მოწმობენ, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში მიღწეულია დაძაბულობის ერთგვარი შენელება. ეს, აგრეთვე ის, რომ მნიშვნელოვნად დაახლოებულია პოზიციები შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში, ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ქვეკომიტეტმა სწრაფად და წარმატებით შეასრულოს ამოცანები, რომლებიც მას გენერალურმა ასამბლეამ დაავალა.

საბჭოთა დელეგაცია მზად არის წინანდებურადვე ითანამშრომლოს სხვა დელეგაციებთან ამ დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაში".

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეკომიტეტის მუშაობას, რომელიც, როგორც მან თქვა, უნდა იყოს „ჟენევის თათბირის პრაქტიკული ღირებულების პირველი გამოცდა". ლოჯმა ქვეკომიტეტში შეიტანა წინადადება, რომელიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გააკეთა ჟენევის თათბირზე, და მოიყვანა ეიზენჰაუერის განცხადების ის ადგილები, რომლებიც შეიცავდნენ წინადადებას სამხედრო ინფორმაციის გაცვლისა და აეროფოტოგადაღების საშუალებით ამ ინფორმაციის შემოწმების შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომ განიარაღების პრობლემის საფუძველს შეადგენს ინსპექციის საკითხი.

ლოჯმა განმარტა ეიზენჰაუერის წინადადების ზოგიერთი დეტალი და თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან განიხილონ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან თავიანთ წინადადებათა ყველა ასპექტი.

ინგლისის წარმომადგენელმა ნატინგმა აღნიშნა, რომ ქვეკომიტეტი თავის მუშაობას იწყებს „სხვა ატმოსფეროში" — „უფრო ხელსაყრელ და უფრო დამამედებელ ატმოსფეროში", რომელიც შეიქმნა ჟენევის თათბირის შედეგად.

ბრიტანეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ამა წლის 10 მაისის წინადადებანი „უეჭველად აფართოებენ განიარაღების გარკვეული მიზნების შესახებ შეთანხმების სფეროს".

მაგრამ, ნატინგის აზრით, საბჭოთა წინადადებანი „უპასუხოდ ტოვებენ" საკითხს, „თუ როგორ შეიძლება ამ მიზნების მიღწევა". მან განმარტა, რომ საჭიროა დაწესდეს განიარაღებისადმი კონტროლის ისეთი საერთაშორისო სისტემა, რომელიც იმოქმედებს, კიდევაც რომ არ იქნეს ნდობა სახელმწიფოებს შორის.

ნატინგმა დელეგატების ყურადღება მიაპყრო „იდენის გეგმას", რომელიც შეტანილ იქნა ჟენევის თათბირზე ევროპის გარკვეულ შეთანხმებულ ნაწილში ურთიერთ ინსპექტირების შესახებ. მან განაცხადა, რომ მომავალში უფრო დაწვრილებით ჩამოაყალიბებს ამ გეგმას.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟიულ მოკმა თქვა, რომ ქვეკომიტეტმა უნდა განაგრძოს მუშაობა, რომელსაც იგი ეწეოდა, აგრეთვე შეისწავლოს წინადადებანი, რომლებიც შეტანილ იქნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე.

მოკმა აღნიშნა, თუ რა რთულია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ღონისძიებათა განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამოცანა და ხაზგასმით განაცხადა, რომ საჭიროა გაგრძელდეს საკონტროლო ორგანოს ფუნქციათა საკითხის შესწავლა.

შემდეგ მოკმა განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაციას ქვეკომიტეტში შეაქვს წინადადება, რომელიც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფორმა გააკეთა ჟენევის თათბირზე.

მოკმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა ფორის წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური კონტროლის დაწესებას სამხედრო ხარჯებისადმი. ამ წინადადებაში გათვალისწინებულია, რომ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შედეგად განთავისუფლებული სახსრების ნაწილი უნდა გადაეცეს სპეციალურ საერთაშორისო ფონდს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად.

კანადის წარმომადგენელმა მარტინმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეკომიტეტი იმუშავებს იმავე ატმოსფეროში, რომელშიც მიმდინარეობდა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი. მარტინმა აღნიშნა, რომ ქვეკომიტეტის სხდომებზე ლონდონში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეკომიტეტის მიზნის მისაღწევად—განიარაღების შეთანხმებული პროგრამის შესამუშავებლად. მან აგრეთვე განაცხადა, რომ კანადის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ სერიოზულ წინადადებათა გულდასმით შესწავლას, რომლებიც შეიტანეს საფრანგეთის, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ჟენევის თათბირზე.

საპარლამენტთაშორისო კავშირის 44-ე კონფერენციაზე

ჰელსინკი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს საპარლამენტთაშორისო კავშირის 44-ე კონფერენციაზე გრძელდებოდა დისკუსია საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღების მდგომარეობის საკითხზე.

სხდომაზე გამოვიდნენ ინდოეთის, ერაყის, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, აგრეთვე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელი ერლერი.

შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა კავშირის დელეგატს ა. მ. პანკრატოვას. საბჭოთა დელეგაციას, თქვა მან, ძირითადად მისაღებად მიაჩნია რეზოლუცია კოლექტიური უშიშროების საკითხზე და მას მისცემს ხმას.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო პანკრატოვამ, დიდი ხანია ცდილობს შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპაში სრულიად ევროპის ურთიერთდახმარების პაქტის, განიარაღების შესახებ შეთანხმებისა და სხვა ღონისძიებათა საშუალებით. კოლექტიური უშიშროების იდეას, როგორც იგი საბჭოთა ადამიანებს ესმით, საფუძვლად უდევს ის, რომ დაშვებულ არ იქნას ერთმანეთისადმი მტრული ბლოკები, შეიქმნას უშიშროების ისეთი სისტემა, რომელშიც იქნება ყველა ხალხი — დიდი და პატარა ხალხები.

ჩვენ, თქვა დასასრულ საბჭოთა დელეგატმა, სრული რწმენითა და კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენცია თავის ხმას უერთებს იმ მილიონობით ხმას, რომელთა სახელითაც აქ, სტუმართმოყვარე ჰელსინკში, ლაპარაკობდა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა, რომელმაც მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ყველა პარლამენტსა და მთავრობას, მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსან და პროგრესულ ძალებს — დასახონ და უზრუნველყონ სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის ყველაზე რეალური შესაძლებლობანი. „გამოვეხმაუროთ ხალხთა ამ მოწოდებას და გავაძლიეროთ ბრძოლა მშვიდობისა და უშიშროებისათვის — ეს ჩვენი წმიდა მოვალეობაა, და ჩვენ ამას პირნათლად შევასრულებთ".

დილის სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე ინგლისის წარმომადგენელი ბელენჯერი, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა დავიცადოთ, მართლა შეამცირებს თუ არა სსრ კავშირი თავის შეიარაღებულ ძალებს გამოცხადებული რაოდენობით. ორატორმა სცადა გამალებული შეიარაღება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში გაემართლებინა იმით, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს „ისწრაფვის" სხვა ქვეყნებზე გაავრცელოს თავისი იდეოლოგია.

დაახლოებით ასეთივე იყო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ფლანდერსის კილო.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ალბანეთის წარმომადგენელმა ბაზოლიმ, ინგლისის დელეგატმა უაიტმა და სხვა დელეგატებმა.

შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციას თანაარსებობის იურიდიული და მორალური პრინციპების შესახებ, რომელიც წინათ განიხილეს. რეზოლუცია მიიღეს შეტანილი შესწორებებით.

სხდომის დასასრულს დაიწყო საპარლამენტთაშორისო კავშირის განმტკიცების საკითხის განხილვა. მოხსენება გააკეთა კლემენტ დევისმა (ინგლისი). მომხსენებელმა თავისი გამოსვლის დასაწყისში კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სსრ კავშირი საპარლამენტთაშორისო კავშირის წევრად შევიდა. საჭიროა, განაცხადა შემდეგ მან, გავაფართოოთ პარლამენტთა დელეგაციების გაცვლა და პარლამენტარების პირადი კონტაქტი. ამასთან დაკავშირებით დევისმა დადებით ფაქტად აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია. ჩვენ, პარლამენტარებს, განაგრძო მან, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ჩვენ კარგი მეზობლები ვართ. ახლანდელი პერიოდი ბუმბერაზული განვითარების პერიოდი, პარლამენტების პერიოდია. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს უკეთ ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

ჰელსინკი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია კავშირის განმტკიცების საკითხზე.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა ისრაელის დელეგატმა ნუროკმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი პეჯი თავის სიტყვაში არ შეეხებია საკითხის არსს. იგი შეეხო განიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის პრობლემებს და აღნიშნა, რომ „არ არის თავისუფლება" სხვა ქვეყნებში. თავისი სიტყვის დასასრულს პეჯმა მოითხოვა კავშირის ჩარჩოებში გადაიტანოს კონკრეტული და არა საერთო პრობლემები.

ბრაზილიის დელეგატის სალესის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც მხარი დაუჭირა საპარლამენტთაშორისო კავშირის განმტკიცებას, სიტყვა აიღო პოლონეთის დელეგატმა ჟულკევსკიმ. მან თქვა, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირის საქმიანობა ხელს უწყობდა და კვლავაც შეუწყობს ხელს სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთგაგებასა და დაახლოებას.

სინჰა (ინდოეთი) შეეხო წინადადებას საპარლამენტთაშორისო კავშირის შემადგენლობის გაფართოების შესახებ, რაც შეესაბამება კავშირის მიზნებს.

ამონმა (საფრანგეთი) გააკრიტიკა ზოგიერთი დელეგატი, რომლებიც ცდილობენ მეტად ვიწროდ განიხილონ საკითხები ამ კონფერენციაზე და ილაპარაკონ უხეშად, შეურაცხმყოფელად.

ის, რომ ჩვენ არ მივიღეთ კავშირში ჩინეთი, თქვა ამონმა, ლოგიკური არ არის. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ჩინეთის შესახებ დამაკმაყოფილებელი არ არის. იგი უნდა შეიცვალოს, და მაშინ გაიზრდება ჩვენი კავშირის ავტორიტეტი. წინადადებას საპარლამენტთაშორისო კავშირში ჩინეთის მიღების შესახებ მხარი დაუჭირეს აგრეთვე იუგოსლავიის წარმომადგენელმა სიმიჩმა, სუდანის წარმომადგენელმა გუბარამ და სხვებმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა კავშირის დელეგატს მირზო ტურსუნ-ზადეს. თავის სიტყვაში ტურსუნ-ზადემ განაცხადა:

მე, როგორც სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის წევრი, მოხარული ვარ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საბჭოს მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტში, რომელიც კონფერენციის ყველა დელეგატს დაურიგდა, დადებითად არის შეფასებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაცია პარლამენტებს შორის პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა ახორციელებს ამ დეკლარაციას: მთელი რიგი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა ჩამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირში და ფართოდ გასცნობოდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და სინამდვილეს. მათ საკუთარი თვალით ნახეს, რომ საბჭოთა ხალხს სურს მშვიდობა არა სიტყვით, არამედ საქმით.

ჩვენთვის, განაგრძო ტურსუნ-ზადემ, დიდი მნიშვნელობა აქვს თავმჯდომარე სტეინსჰეიტის განცხადებას იმის შესახებ, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირი უნივერსალური უნდა იყოს.

ჩემი აზრით, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულს ტურსუნ-ზადემ, ის, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირში არ არის ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხის წარმომადგენელი, ეწინააღმდეგება პრინციპებს, რომელთა საფუძველზე აშენებს თავის მუშაობას ეს კავშირი. ორატორთა უმრავლესობამ, რომლებიც კონფერენციაზე გამოვიდნენ, მხარი დაუჭირეს რა ამ საკითხს, მხარი დაუჭირეს აგრეთვე წინადადებას იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიღებულ იქნას საპარლამენტთაშორისო კავშირში. ამ გამოსვლათა უგულებელყოფა არ შეიძლება. ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხი დგას, რომელთა შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ ამ კონფერენციის ტრიბუნიდან და რომელთა ნაყოფიერი გადაჭრა მოითხოვს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარების ერთობლივ ღონისძიებებს. სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის სახელით მე შემიძლია მტკიცედ განვაცხადო, რომ ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მტკიცდებოდეს ურთიერთობა ხალხთა შორის, რათა მათ შორის არსებობდეს კეთილი ნებისა და თანამშრომლობის სულისკვეთება.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა ეკონომიურ დარგში საერთაშორისო გაცვლის განვითარების საკითხის განხილვას. ამ საკითხზე განცხადება გააკეთა ეკონომიურ და საფინანსო საკითხთა კომიტეტის წარმომადგენელმა ხაინდმა. მომხსენებელმა წინადადება შეიტანა მოიწვიონ ეკონომიურ საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის მომწიფებულ საკითხთა განსახილველად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ერებს შორის ნდობის მიღწევას.

ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

კაუნასი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). შეჯიბრების მეხუთე დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდი თამაშობდა კიშინიოვის „დინამოსთან". ასპარეზობა თბილისელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათ სასარგებლოდ ანგარიშით 65:53.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა ტარტუს „კალევისა" და კაუნასის „ჟალგირისის" ქალთა გუნდების შეხვედრა. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 49:49. დამატებითში პირველმა ხუთმა წუთმა გამარჯვება მოუპოვა „ჟალგირისის" გუნდს. საერთო ანგარიშია 54:52.

ძველი სპორტული მეტოქეების — მოსკოვის „დინამოსა" და „სტროიტელის" ქალთა გუნდების შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს „სტროიტელის" კალათბურთელებმა ანგარიშით 56:52.

სურათზე: თბილისის „დინამოსა" და ტარტუს „კალევის" მატჩის ერთ-ერთი მომენტი.
ფოტო მ. მამედოვისა.

ქალთა დანარჩენი გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვის „ბურევესტნიკი" — ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 77:68, მოსკოვის „მეტალურგი" — ერევნის „ბურევესტნიკი" — 50:33.

თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდი შეხვდა მოსკოველ თანაკლუბელებს. ორივე გუნდს ჰქონდა თითო დამარცხება და ამ შეხვედრას თვითეულისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის დინამოელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ: გვანცელაძე, მინაშვილი, ქლენტი, ქორქია და ინწკირველი. მოსკოველები გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ვლასოვი, ოზეროვი, ტორბანი, სტუდენეცკი, გაევსკი. პირველ წუთშივე ვლასოვმა სამი ქულა შესძინა თავის გუნდს. შემდეგ სტუდენეცკი ანგარიშს ადიდებს — 6:0. გადის რამდენიმე წუთი, და წინაურდებიან თბილისელები, ანგარიში ხდება 15:14 მათ სასარგებლოდ. თამაშის პირველი ნახევრის დარჩენილი დრო თბილისის კალათბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობს, შესვენებისას ანგარიში იყო 29:22 მათ სასარგებლოდ. თამაშის 26-ე წუთზე ანგარიში იყო 39:27. შემდეგ თბილისელებმა შესამჩნევად შეანელეს ტემპი, რითაც მაშინვე ისარგებლეს მოსკოველებმა. 31-ე წუთზე ანგარიში ხდება 42:41. 5 ჯარიმისათვის მოედანს სტოვებს ქლენტი, რომელსაც ცვლის ჯორჯიკია. ეს გავლენას ახდენს თბილისელების თამაშზე. ისინი მეტი ტემპით და შედეგიანობით იბრძვიან. თამაშის საერთო ანგარიშია 51:48 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ. ამ თამაშში ქლენტმა თავის გუნდს შესძინა 12 ქულა, ინწკირველმა — 10, გვანცელაძემ — 9, ქორქიამ — 7, გიგაბაშიძემ — 5, მინაშვილმა — 4, ჯორჯიკიამ — 4.

საინტერესო შეხვედრა იყო კაუნასის „ჟალგირისისა" და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის ვაჟთა გუნდების თამაში. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 40:40. მეორე ნახევარი მოსკოველებმა უფრო შედეგიანად ჩაატარეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 82:72.

ვაჟთა დანარჩენი გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: მოსკოვის „სპარტაკი" — კიევის ოფიცერთა საოლქო სახლი 83:73, რიგის ოფიცერთა საოლქო სახლი — სვერდლოვსკის „ზენიტი" — 90:68, ტარტუს „ბურევესტნიკი" — ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 65:51.

ქალთა გუნდებს შორის ლიდერია მოსკოვის „ბურევესტნიკი", რომელსაც დამარცხება არა აქვს. თითო დამარცხება აქვთ თბილისის „ბურევესტნიკს", მოსკოვის „სტროიტელს", კაუნასის „ჟალგირისს". ვაჟთა გუნდებს შორის თითო დამარცხება აქვთ თბილისის „დინამოს", კაუნასის „ჟალგირისს", სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბისა და რიგის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდებს.

წარმატებით თამაშობს თბილისის „დინამოს" ჭაბუკთა გუნდი. მან პირველმა მოუგო კაუნასის „ჟალგირისს" ანგარიშით 70:59, ხოლო მეორე დღეს — მოსკოვის „სპარტაკს" ანგარიშით 66:47.

ვ. ჯაფარიძე.

საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირი გეტებორგში

გეტებორგი, 30 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). მე-9 ტურის დამთავრების წინ ბისჰაიერმა (ამერიკის შეერთებული შტატები) დაძლია დონერის (ჰოლანდია) დაცვა და გამარჯვება მოიპოვა. პახმანმა (ჩეხოსლოვაკია) გაანადგა თავისი უპირატესობა და მოუგო სპასკის.

გადადებულ პარტიებში გიმარს (არგენტინა) მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს შტალბერგის (შვეცია) წინააღმდეგ. საბოთათვის (უნგრეთი) მძიმე მდგომარეობაში გადაიდო მისი შეხვედრა პანოსთან (არგენტინა). არაზუსტი თამაშის შედეგად ნაიდორფმა (არგენტინა) დაკარგა გამარჯვების შანსი პარტიაში უნციკერთან (დასავლეთი გერმანია), ხოლო სლივკამ (პოლონეთი) — პილნიკთან (არგენტინა). პეტროსიანს ერთგვარი პოზიციური უპირატესობა აქვს მედინასთან (ვენესუელა) შეხვედრაში.

გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

მოსკოვი, 31 აგვისტო. აქ გაიმართა XVII ჩემპიონატის მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და მინსკის „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 1:0.

„ბ" კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა „ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი მატჩი. თამაშობდნენ როსტოვის „ტორპედოსა" და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები. გაიმარჯვეს არმიელებმა — 2:1.

საქართველოს მთასვლელთა დიდი წარმატება

საქართველოს ალპური კლუბის მთასვლელთა ექსპედიცია ივლისიდან პამირის მთიანეთში იმყოფება. მისი ძირითადი მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალის — სტალინის პიკის მისასვლელი გზების დაზვერვა.

პირველ აგვისტოდან მთასვლელთა ჯგუფი შეუდგა ასვლას გარმოს ყინულოვანი ფერდობით, რომლის სიგრძე 40 კილომეტრამდე აღწევს. უმაღლესი ბანაკი მოეწყობა იყო 4.900 მეტრზე. 15 აგვისტოს დილით მოიერიშეთა ჯგუფი 10 კაცის შემადგენლობით გაემართა ერთ-ერთი უძნელესი მწვერვალის — მოლოტოვის სახელობის პიკის (6.853 მეტრი) დასაპყრობად. ამ ჯგუფმა 17 აგვისტოს წარმატებით დაამთავრა ოპერაცია, ავიდა მწვერვალზე, რომელზეც ჯერ არავინ ასულა. მეორე დღეს მთასვლელებმა დაიპყრეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქედზე აღმართული გაზეთ „პრავდის" სახელობის პიკი (6.400 მეტრი). აქედან 5 მთასვლელი უკან დაბრუნდა. დანარჩენები შეუდგნენ სტალინის სახელობის პიკზე ასასვლელი ჯერ უცნობი გზის დაზვერვას.

21 აგვისტოს მოიერიშე მთასვლელთა ჯგუფმა 4 კაცის შემადგენლობით ახალი გზით დაიპყრო სტალინის სახელობის პიკი, რომლის სიმაღლე 7.495 მეტრია. ამით გადაწყვეტილია საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი უძნელესი პრობლემა. ექსპედიციის უფროსია ო. გიგინეიშვილი.

ცნობა ანტონინ ზაპოტოცკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

პრაღა, 31 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ცნობას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რაც 1955 წლის 31 აგვისტოს გამოქვეყნდა:

რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის დაეწყო გულის მწვავე სისუსტე და სისხლის მიმოქცევის დარღვევა. მკურნალობის შედეგად მოხერხდა გულის მოქმედების გაუმჯობესება. დღეს დილის 6 საათზე ტემპერატურა ჰქონდა 36,3 გრადუსი, სისხლის წნევა და პულსი ნორმალურია. ავადმყოფმა ღამე მშვიდად გაატარა.

ცნობას ხელს აწერენ პროფესორი მილოშ ნეტოუშეკი, პროფესორი ვრატისლავ იონაში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მარკოვი, სახელმწიფო სანატორიუმის დირექტორი დოქტორი ფრანტიშეკ ზავოდნი.

უცხოეთის დელეგაციები საქართველოში

ჭიათურა, 31 აგვისტო. (საქდესი). აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების გეოლოგთა და სამთო ინჟინერთა დელეგაციამ მთელი გუშინდელი დღე ქალაქ ჭიათურაში გაატარა.

სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშაობას. ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის მაღაროებში ისინი დიდხანს ადევნებდნენ თვალყურს რთული მექანიზმების და მოწყობილობის მუშაობას, რომლებსაც აქ იყენებენ გვირაბის გასაყვანად, მადნის ამოსაღებად, დასატვირთავად და გადასატანად. ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში სტუმრები დაინტერესა მაღალი სიხშირის საცხრილავე მანქანებისა და მექანიზმების მუშაობამ, რომელთა საშუალებითაც წარმოებს მარგანეცის მწირი მადნის გამდიდრების პროცესი.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა დოქტორმა როობაბეშ ჩანდრამ თქვა:

— დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე მარგანეცის მადნის ამოღებისა და გამდიდრების მაღალმა მექანიზაციამ. მექანიზაცია მაღაროელთა მძიმე შრომის გაადვილებასთან ერთად ხელს უწყობს მადნის ამოღების გადიდებას და მინიმუმამდე ამცირებს მარგანეცის დანაკარგს. საბჭოთა მეცნიერებმა და მანქანათმშენებლებმა შექმნეს ჩინებული ელექტრო და პნევმატური სატვირთავი მანქანები, მაღაროს ელექტრომავლები, მადნის გადასატანი მექანიზმები.

— მე, — განაცხადა მან, — მაღაროელთა ბევრი ქალაქი მინახავს, მაგრამ ისეთი, როგორიც არის ჭიათურა თავისი მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებით, არ შემხვედრია.

დღეს დილით დელეგაცია გაემგზავრა წყალტუბოში, საიდანაც წავა სოჭში.

• • •

თბილისში რამდენიმე დღეს იყვნენ ლათინური ამერიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის ქვეყნების ახალგაზრდობის დელეგაციები — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვარშავის მსოფლიო ფესტივალის მონაწილეები.

დელეგაციის წევრები გაეცნენ ქალაქს, მის ღირსშესანიშნაობებს, მოაწყეს გასეირნება კომკავშირის ხეივანში, იყვნენ ვაკის ახალ პარკში, სადაც დაათვალიერეს სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" სტადიონის მშენებლობა. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნახვამ.

დელეგაციათა წევრები გაემგზავრნენ ქალაქ რუსთავს, სადაც დაათვალიერეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროები და მეტალურგთა ქალაქი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გაიმართა საღამო, რომელზეც თბილისელი ახალგაზრდობა შეხვდა დელეგაციათა წევრებს.

მოსკოვში ჩამოვიდა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის თავმჯდომარე ხომი ბაბა

30 აგვისტოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ჟენევის ამასწინანდელი საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის თავმჯდომარე ბ-ნი ხომი ბაბა (ინდოეთი).

ხომი ბაბას თან ახლავან თვალსაჩინო ინდოელი მეცნიერები კ. ს. კრიშნანი, რ. რამანა, პ. ვ. პრასადი, ა. ტ. რაო და ხ. ნ. სეტნა.

ვნუკოვოს აეროდრომზე ინდოელ სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი, აკადემიკოსები ა. პ. ვინოგრადოვი, ი. ე. ტამი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ნ. მ. სისაკიანი, ვ. ი. ვეკსლერი, ა. მ. საზარინი და სხვები.

ბ-ნმა ხომი ბაბამ და ა. ვ. ტოპჩიევმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

(საკდესი).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დ ღ ე ს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოქტომბერი, კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — დონ ჟუანი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კომკავშირული, ვოროშილოვის სახელობის კლუბი— მე და პაპაჩემი. სპარტაკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კოლხიდა (საზამთრო)— სიყვარულის ასაკი, იასანი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — ახალი მხატვრული ფილმი, ფილარმონიის ბაღი — დობილები, კოლხიდა (საზაფხულო) — აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ, იასანი (საზაფხულო) — სკანდალი კლოშმერლში, 26 კომისრის სახელობის — მთის ტბის საიდუმლოება (საზამთრო), ორი ბატონის მსახური (საზაფხულო), დიდუბე — ყველაზე უკეთესი ადამიანი (საზამთრო), ქეთო და კოტე (საზაფხულო), კოლმეურნე — ორი ბიჭი მიწა, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ლიმერიენა, კომუნარების ბაღი — ჰირველი მარიეტა.

თბილისის „დინამოს" სტადიონი

2 სექტემბერს

ფეხბურთი

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო — თბილისის „დინამოს" I გუნდი

დასაწყისი 5 ს. 30 წ.

4 სექტემბერს

საქართველოს პირველობაზე

სტალინირის „სპარტაკი" — თბილისის „დინამოს" I გუნდი

დასაწყისი 3 ს. 30 წ.

ბათუმის „დინამო" — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო

დასაწყისი 5 ს. 30 წ.

მოქალაქე ხალილ ბაირამის-ძე კალბიევმა, მცხოვრებმა ძეგამის ქ. № 1, აღძრა საქმე გოგებაშვილის ქუჩის შესახვევი № 9 მცხოვრებ მოქალაქე ლათიფა მუსას ასულ ალიევასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ოლინკა, შვილები ნიკოლოზ, ლევან, არსენ, დები ნატა, კალინკა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

კონსტანტინე ონისიმეს-ძე კობახიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IX, 5 ს. სოფ. არგვეთაში (ზესტაფონის რაიონი).

იაშა, თამარ, კუშა, ქეთო, ვანო, ვენერა, მადონა, ბუხუტი, თინა ღოღობერიძეები ოჯახებით იუწყებიან

აგრაფინა ივანეს ასულ ღოღობერიძე-მიქაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IX სოფელ ჩხენიშში (სამტრედიის რაიონი).

შვილი ალექსანდრე ოჯახით იუწყება

ნინო პეტრეს ასულ სტურუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-IX, 8 ს. გამოსვენება 4-IX, 3 ს. საქართველოს სამხედრო გზა № 21.

შვილები ვალიკო, თამარ, შურა, დავით, დამათიკო, ძმა ილია ოჯახებით იუწყებიან

ნინო იოსების ასულ იაშვილი-ვასილიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IX, 8 ს. გამოსვენება 3-IX, 5 ს. წულუკიძის ქ. № 4.

უე 04279 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.